

მისაღები (შიდა) სპორტული
ტურის დებულება



SPORTUNI

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს **სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის** (შემდგომში - უნივერსიტეტი) აბიტურიენტთა/პირთა მისაღები (შიდა) სპორტული ტურის წარმართვის წესს, პირობებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს; განსაზღვრავს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსის ჩატარების პროცესში ჩართული პირების უფლება- მოვალეობებს;

1.2 ამ დებულების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესი“, კონვენციები და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.1 უნივერსიტეტში სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვა ხდება მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში შესაბამისი კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტებით რანჟირებული ქულებით;

2.2 უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების და მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში შესაბამისი კონკურსის საფუძველზე;

2.3 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში გამოცდები ტარდება საერთო ფიზიკურ მომზადებაში, რომლის ადმინისტრირებას ახდენს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

2.4 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შედეგების მიხედვით დგინდება სპორტული კონდიციებისა და შრომისუნარიანობის დონე საერთო ფიზიკურ მომზადებაში. შედეგების საფუძველზე დგინდება იმ აბიტურიენტთა/პირთა ნუსხა, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2.5 ამ პროცესში უნივერსიტეტის მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კომისიის პასუხისმგებლობაში შედის მხოლოდ მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ორგანიზება და კონკურსის შედეგების დროული მიწოდება პასუხისმგებელი პირისათვის;

2.6 ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების აქვთ:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და წარმატებით გაიარეს მისაღები (შიდა) სპორტული ტური;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში და წარმატებით გაიარეს მისაღები (შიდა) სპორტული ტური;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წარმატებით გაიარეს მისაღები (შიდა) სპორტული ტური;

დ) საქართველოს მოქალაქეებს (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წარმატებით გაიარეს მისაღები სპორტული ტური;

2.7 აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;

2.8 სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირი ვალდებულია გაიაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მისაღები (შიდა) სპორტული ტური, რითაც დაადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი უნარების ფლობას საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია;

2.9 სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხვისთვის სავალდებულოა როგორც უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსის გავლა, ასევე შემდეგი საგნების ჩაბარება:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ბ) ქვემოთ ჩამოთვლილი უცხოური ენებიდან ერთ-ერთი:

- ინგლისური ენა;
- გერმანული ენა;
- ფრანგული ენა;
- რუსული ენა.

2.10 სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მისაღებად, აბიტურიენტი ვალდებულია, გარდა მე-2 მუხლის 2.9 პუნქტში განსაზღვრული საგნებისა, ჩააბაროს მათემატიკა ან ისტორია.

2.11 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, თუ აბიტურიენტი აპირებს სწავლის გაგრძელებას სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბაკალავრო საფეხურზე, ვალდებულია ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდა, ან ოსური ან აფხაზური ენის გამოცდა და მისაღები (შიდა) სპორტული ტური.

2.12 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსის შედეგები შესაბამისი წლის 30 ივნისამდე ეგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი; დ) კონკურსზე მიღებული ქულა;

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

მუხლი 3. მისაღებ სპორტულ ტურზე რეგისტრაცია და წარმოსადგენი დოკუმენტაცია

3.1 მისაღებ სპორტულ ტურზე რეგისტრაციის ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება რექტორის ბრძანებით;

3.2 მისაღებ სპორტულ ტურში მონაწილეობის მიზნით აბიტურიენტი/პირი ვალდებულია, რეგისტრაცია გაიაროს უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ვადაში;

3.3 მისაღებ სპორტულ ტურში მონაწილეობის საფასურია 10 ლარი. თანხის შეტანა ხდება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სახაზინო კოდზე: 709 027 519;

3.4 მისაღებ სპორტულ ტურზე რეგისტრაცია წარმოებს საბუთების მიღების გამოცხადებიდან არანაკლებ ერთი თვისა;

3.5 საბუთების მიღებას აწარმოებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც ვალდებულია, მიღებული დოკუმენტაციის სრული პაკეტი წარუდგინოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს. საბუთების მიღებაზე პასუხისმგებელი აბიტურიენტის / პირის მიერ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათს, რასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით;

3.6 საბაკალავრო საფეხურის მისაღებ სპორტულ ტურზე რეგისტრაციისთვის, აბიტურიენტი უნივერსიტეტში ავსებს სარეგისტრაციო ანკეტას (**დანართი N5**) და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

- ❖ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის /პასპორტის ასლი;
- ❖ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N100);
- ❖ 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4), რომლებიც CD-ის დისკზეც უნდა იყოს ჩაწერილი;
- ❖ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ბაზაში www.online.naec.ge რეგისტრაციის

გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

❖ მისაღებ სპორტულ ტურზე მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დანიშნულებაში აბიტურიენტის პირადი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით;

3.7 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მისაღებ სპორტულ ტურზე რეგისტრაციისთვის, პირი უნივერსიტეტში ავსებს სარეგისტრაციო ანკეტას (*იხ. დანართი N6*) და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

- ❖ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ❖ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N100);
- ❖ 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4), რომლებიც CD-ის დისკზეც უნდა იყოს ჩაწერილი;
- ❖ მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების მიზნით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის წარმატებით გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობას რეგისტრაციის ნომრის და მიღებული ქულის მითითებით;
- ❖ უმაღლესი განათლების ან სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი (ნოტარიულად დამოწმებული);
- ❖ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (მხოლოდ ვაჟებისთვის);
- ❖ მისაღებ სპორტულ ტურზე მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - დანიშნულებაში პირის პირადი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით.

3.8 სარეგისტრაციოდ განაცხადისა და დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ, აბიტურიენტზე/პირზე გაიცემა რეგისტრაციის ფურცელი;

3.9 მისაღებ სპორტულ ტურზე გამოცხადებისას აბიტურიენტს/პირს გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი (*იხ. დანართი N7*), რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს მისაღებ სპორტულ ტურში. ბარათის გადაცემის ფაქტი დასტურდება აბიტურიენტის/პირის ხელმოწერით. ბარათში მითითებულია მისაღებ სპორტულ ტურზე მონაწილეობის წესი, ჩატარების ადგილის მისამართი და თარიღი;

3.9 აბიტურიენტი/პირი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დანიშნულ დროზე, წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და უნივერსიტეტის მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო ბარათი.

მუხლი 4. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შეფასების სისტემა

4.1 მისაღები (შიდა) სპორტული ტური ერთეულოვანია. ტური ითვალისწინებს საერთო ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარებას.

4.2 მისაღები (შიდა) სპორტული ტური ფასდება კომისიის მიერ 75 ქულიანი სისტემით;

4.3 საბაკალავრო საფეხურზე სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მისაღებ სპორტულ ტურში სტუდენტის შეფასება ხდება შესაბამის აქტივობაში დადგენილი ნორმატივების შესაბამისად (*იხ. დანართი N1* მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ნორმატივები საბაკალავრო საფეხურის ფარგლებში). სასპორტო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღები

(შიდა) სპორტული ტურის ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- ❖ რბენა 100 მ - ზე (გოგონები და ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა.
- ❖ ადგილიდან სიგრძეზე ხტომა (გოგონები და ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა.
- ❖ ღერძზე მიზიდვა (ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა.
- ❖ მკლავების მოხრა- გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე (გოგონები) - მაქსიმალური 25 ქულა.

4.4 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ფიზიკური აღზრდა და სპორტი) ჩარიცხვის მიზნით მისაღებ სპორტულ ტურში პირის შეფასება ხდება შესაბამის აქტივობაში დადგენილი ნორმატივების შესაბამისად (*იხ. დანართი N2*) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ნორმატივები მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში). მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- ❖ რბენა 30 მ - ზე (ქალები და კაცები) - მაქსიმალური 25 ქულა.
- ❖ ადგილიდან სიგრძეზე ხტომა (ქალები და კაცები) - მაქსიმალური 25 ქულა.
- ❖ მკლავების მოხრა- გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე (ქალები და კაცები) - მაქსიმალური 25 ქულა.

4.5 სპეციალური საჭიროების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოქმედებს განსხვავებული ნორმატივები (*იხ. დანართი N3*).

4.6 სპეციალური საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აბიტურიენტის/პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის და განაცხადის შესწავლის საფუძველზე მისაღები სპორტული ტურის ფარგლებში დანართი N3-ით განსაზღვრული აქტივობების ადაპტაციის მიზნით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შექმნას სპეციალური მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც მიზანშეწონილობის ფარგლებში მიიღებს გადაწყვეტილებას არსებული ნორმატივების გადახედვის თაობაზე სპორტის სახეობის და სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე აბიტურიენტის/პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული საჭიროების გათვალისწინებით;

4.7 აბიტურიენტები, საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები, სპორტული ტურის სამი ნორმატივიდან ირჩევენ ერთს და მათი შეფასება ხდება *დანართი N4* -ის შესაბამისად.

მუხლი 5. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის პროცესის ორგანიზება

5.1 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისია იქმნება რექტორის ბრძანების საფუძველზე. საკონკურსო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. საკონკურსო კომისიის საორგანიზაციო საქმიანობას და დოკუმენტირებას ახდენს საკონკურსო კომისიის მდივანი. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ამავდროულად არიან მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის წევრები;

5.2 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ბრძანებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი;

5.3 მისაღები სპორტულ ტურში აბიტურიენტების/პირის ინტერესების დაცვის და პროცესების

გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტური თვითმმართველობის წარდგინებით იქმნება ჯგუფი, რომლებიც აკვირდება მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობას. ჯგუფის სამიანობის პრინციპებია სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა. ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით;

5.4 საკონკურსო კომისიის შემადგენლობა შედგება: არანაკლებ 15 წევრისგან ერთიანი ეროვნული გამოცდების მიზნებისთვის ორგანიზებულ მისაღებ სპორტულ ტურზე, არანაკლებ 5 წევრისგან მობილობისა და მასწავლელის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის;

5.5 საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობაში ინტერესთა შეუთავსებლობა რეგულირდება საქართველოს კანონით - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით;

5.6 კონკურსის შედეგები შესაბამისი წლის 30 ივნისამდე იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ელექტრონული ფორმით.

მუხლი 6. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარების პროცედურები და შედეგების გამოქვეყნება

6.1. აბიტურიენტი/პირი ვალდებულია, მისაღებ სპორტულ ტურზე გამოცხადდეს შესაბამის სპორტულ ფორმაში, ტურის დაწყებამდე 30 წუთით ადრე მითითებულ მისამართზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საიდენტიფიკაციო ბარათი;

6.2 საიდენტიფიკაციო ბარათი წარმოადგენს საშვს მისაღები სპორტულ ტურზე;

6.3 კონკურსის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე მოკლედ გააცნობს აბიტურიენტებს /პირებს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარებისა და მუშაობის წესებს, მათ უფლება-მოვალეობებს;

6.4 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობას მოემსახურება სასწრაფო დახმარების ბრიგადა;

6.5 ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული შედეგის დადგომისას, ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ. აბიტურიენტის/პირის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელება დასაშვებია სასწრაფო დახმარების ბრიგადის წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე;

6.6 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობისას თუ აბიტურიენტი/პირი ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ აგრძელებს მისაღებ სპორტულ ტურში მონაწილეობას, მას უწყისში უფორმდება მხოლოდ ის ქულები, რაც დააგროვა ჯანმრთელობის გაუარესებამდე.

6.6 საკონკურსო კომისია მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობისას აბიტურიენტს/პირს ადგილზე აცნობს შესაბამის აქტივობაში მის შედეგს და ქულას, რასაც აბიტურიენტი/პირი ხელმოწერით ადასტურებს უწყისში;

6.6 შედეგები ქვეყნდება მისაღები (შიდა) სპორტული ტურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში, ელექტრონულ ფორმატში სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 7. აბიტურიენტის/პირის უფლება - მოვალეობანი

7.1 აბიტურიენტი/პირი ვალდებულია:

ა) აბიტურიენტი/პირი ვალდებულია მისაღებ სპორტულ ტურზე გამოცხადდეს შესაბამის სპორტულ ფორმაში, მითითებულ მისამართზე;

ბ) გაიაროს რეგისტრაცია მისაღები (შიდა) სპორტული ტურის დაწყებამდე და შესაბამის უწყისში ხელმოწერით დააფიქსიროს გამოცხადება;

გ) მისაღებ სპორტულ ტურზე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი, ფოტოსურათიანი დოკუმენტი და მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საიდენტიფიკაციო ბარათი;

დ) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობის დროს დაიცვას მსაჯობის წესები, ზუსტად შეასრულოს კომისიის წევრთა ინსტრუქციები და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;

ე) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკისა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები.

7.2 კონკურსის მსვლელობისას აბიტურიენტს/პირს ეკრძალება:

ა) სხვა აბიტურიენტისათვის/პირისთვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა; ბ) კონკურსის ადგილის უნებართვოდ დატოვება.

7.3 ამ მუხლის მე - 2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აბიტურიენტს/პირს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით **(დანართი N8)**;

7.4 გაფრთხილების მიუხედავად, მოთხოვნების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, ფორმდება ოქმი აბიტურიენტის/პირის მისაღები (შიდა) სპორტული ტურიდან მოხსნის შესახებ;

7.5 აბიტურიენტის/პირის უფლებები:

ა) მოითხოვოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის აუცილებელი პირობები;

ბ) მისაღებ სპორტულ ტურზე შეიტანოს მხოლოდ სასმელი წყალი;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს საკონკურსო კომისიის წევრს შეკითხვით, ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა აბიტურიენტს/პირს;

დ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 24 საათის ვადაში გაასაჩივროს შედეგები.

მუხლი 8. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობანი

8.1 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მისაღებ სპორტულ ტურზე გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე ერთი საათით ადრე;

ბ) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მონაწილეებს გააცნოს წესები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან კონკურსის მსვლელობის დროს;

გ) შესაბამის უწყისში დაიტანოს აბიტურიენტის/პირის შედეგი და შესაბამისი ქულა, რომელსაც ადგილზე გააცნობს მას და ორივე მხარე ხელმოწერით დაადასტურებენ მიღებულ შედეგს;

დ) თვალყური ადევნოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობას და წინამდებარე წესით განსაზღვრული დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

ე) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსიდან აბიტურიენტის/პირის მოხსნის შემთხვევაში, შეადგინოს ოქმი შესაბამისი მიზეზის დაკონკრეტებით;

ვ) უპასუხოს აბიტურიენტს/პირს პროცედურულ და ტექნიკურ საკითხებზე;

ზ) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსის მიმდინარეობისას იმოქმედოს ეთიკის ნორმების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის და მოუკერძოებლობის პრინციპების დაცვით;

თ) აწარმოოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში საჭირო დოკუმენტაცია და ხელმოწერით დაადასტუროს მონაცემის უტყუარობა;

ი) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსამდე მონაწილეობა მიიღოს აბიტურიენტის/პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლაში;

კ) აბიტურიენტის/პირის მიერ წარმოდგენილ ჯანმრთელობის ცნობაზე (ფორმა N100) დაყრდნობით, მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა ნორმატივების ადაპტაციის მიზნით მათი საჭიროების გათვალისწინებით.

ლ) არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია.

8.2 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია: ა) უხელმძღვანელოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო პროცედურებს;

ბ) ხელმოწერით დადასტუროს კონკურსის ეტაპებზე წარმოებული დოკუმენტაციის ფარგლებში მონაცემების უტყუარობა;

გ) გადასცეს უნივერსიტეტის რექტორს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსის ფარგლებში წარმოებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი მონაცემები.

8.3 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის მდივანი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის წარმოება;

ბ) ხელმოწერით დაასტუროს კონკურსის ეტაპებზე წარმოებული დოკუმენტაციის ფარგლებში მონაცემების უტყუარობა;

8.4 კონკურსის მსვლელობისას მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კომისიის წევრს ეკრძალება: ა) აბიტურიენტისათვის/პირისთვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ბ) მიკერძოებული დამოკიდებულება, პირის დისკრიმინაცია რაიმე ფორმით.

8.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, კომისიის წევრი მოიხსნება მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიიდან;

8.6 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საკონკურსო კომისიის წევრთა უფლებები:

ა) მოითხოვოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის აუცილებელი პირობები და რესურსი.

მუხლი 9. თვითმმართველობის წარდგინებით შექმნილი ჯგუფის უფლება-მოვალეობანი

ა) მისაღები სპორტულ ტურზე გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე ერთი საათით ადრე;

ბ) თვალყური ადევნოს მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობას ისე, რომ ხელი არ შეუშალოს პროცესებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო კომისიის სამუშაო პროცესში როგორც პროცესის დამკვირვებელი;

დ) დაიცვას სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპი;

ე) არ დაუშვას რაიმე სახის დისკრიმინაცია.

მუხლი 10. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

10.1 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ;

10.2 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიებს/საჩივრებს განიხილავს სააპელაციო კომისია;

10.3 სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. სააპელაციო კომისიის

საორგანიზაციო საქმიანობას და დოკუმენტირებას ახდენს სააპელაციო კომისიის მდივანი. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ამავდროულად არის სააპელაციო კომისიის წევრი;

10.4 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის სააპელაციო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ბრძანებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი;

10.5 სააპელაციო კომისიის შემადგენლობა შედგება არანაკლებ 3 წევრისგან;

10.6 აბიტურიენტი/პირი უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო განაცხადება რექტორის ბრძანებით შექმნილ სააპელაციო კომისიის სახელზე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში. საპრეტენზიო განაცხადი სააპელაციო კომისიის სახელზე ბარდება უნივერსიტეტის კანცელარიაში;

10.7 სააპელაციო კომისიას დამკვირვებლის რანგში ესწრება თვითმმართველობის წარდგინებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობას;

10.8 საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის უფლება:

ა) აბიტურიენტს/პირს უფლება აქვს წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი სააპელაციო კომისიის წინაშე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის მიმდინარეობის დროს მიღებულ ქულასა და საბოლოო შედეგებში დაფიქსირებულ ქულას შორის შეუსაბამობის დროს;

ბ) არასრულწლოვანი აბიტურიენტის ნაცვლად საპრეტენზიო განაცხადის შეტანა შეუძლია მშობელს, რომელიც წარმოადგენს შვილის დაბადების მოწმობას (ასლს).

გ) სრულწლოვანი აბიტურიენტის/პირის ნაცვლად საპრეტენზიო განაცხადის შეტანა შეუძლია პირს, რომელიც წარმოადგენს სანოტარო წესით დადასტურებულ ან მასთან გათანაბრებულ მინდობილობას;

10.9 სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა;

10.10 სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს:

ა) საბოლოო შედეგებში ასახურლი ქულის ცვლილება, უწყისში არსებული ქულის შესაბამიად;

ბ) შედეგებში ქულის უცვლელად დატოვება;

10.11 სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით ფორმდება ოქმით და ეგზავნე აბიტურიენტს/პირს განაცხადში მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 11. მისაღები (შიდა) სპორტული ტურის საბოლოო შეფასების დოკუმენტები

11.1 მისაღები (შიდა) სპორტული ტურის დასრულების შემდეგ და სააპელაციო კომისიის მიერ აბიტურიენტთა/პირთა პრეტენზიების განხილვიდან და გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კომისიის თავმჯდომარე რექტორს წარუდგენს კონკურსგავლილი აბიტურიენტების/პირების სიას საბოლოო შედეგების მითითებით და შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ.

11.2 საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ელექტრონული ფორმით იგზავნება შემდეგი მონაცემები:

ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

დ) მისაღები (შიდა) სპორტული ტურის კონკურსზე მიღებული ქულა; ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2 დებულება ძალაშია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ მისი ბრძანებით დამტკიცების მომენტიდან.